მოზარდების რელიგიური სოციალიზაცია

ანა ქიტოშვილი

„სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერება და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოთხოვნის შესაბამისად“

პროგრამა: სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ემზარ ჯგერენაია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2016 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ქიტოშვილი

აბსტრაქტი

ინდივიდს მისი კულტურისთვის დამახასიათებელი ქცევები და ღირებულებები ურთიერთობის და ურთიერთმოქმედების პროცესში უყალიბდება. რაც ინდივიდის სოციალურ ჯგუფთან ინტეგრაციისა და იდენტიფიკაციის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. სოციალიზაციის პროცესი ინდივიდს უყალიბებს იდენტურობის გრძნობას და ხელს უწყობს ინდივიდის მიერ სოციალურ სივრცეში ადგილის (პოზიციის, სტატუსის) მოპოვებასა და მის შენარჩუნებას. ამ პროცესში რელიგიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. რელიგია არის ერთ–ერთი ხელშემწყობი ფაქტორი საზოგადოებებში ფუნქციური ინტეგრაციისათვის. ამის საშუალებით კი ადამიანებს შორის მნიშვნელოვანი სოციალური კავშირები მყარდება. შესაბამისად, რელიგიური ორგანიზაციები ცდილობენ გააფართოვონ საკუთარი ზეგავლენა იმ ინსტიტუტებზე, რომლებიც უშუალოდ მოზარდთა აღზრდით არის დაკავებული. ასეთ ინსტიტუტებს კი პირველ რიგში მიეკუთვნება ოჯახი და სკოლა.

კვლევის შედეგად დგინდება, თუ როგორ და სად ხდება რელიგიური ცნობიერების განსაზღვრა მოზარდებში. ვინ არიან პირველადი და მეორეული აგენტები და რა როლს თამაშობს ამაში სახელმწიფო და კანონმდებლობა.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: სოციალიზაცია, სეკულარიზაცია, თვითობა, რელიგია, ოჯახი.

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ემზარ ჯგერენაიას სამაგისტრო ნაშრომის წერის მომზადების პროცესში გაწეული დახმარებისათვის.